საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, IV მ/რ, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ, მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე (ს/კ 01.17.07.024.050) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“.

შპს. „არქი დეველოპმენტი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2018 წლის ივნისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, IV მ/რ, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ, მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე (ს/კ 01.17.07.024.050) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, IV მ/რ, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ, მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე (ს/კ 01.17.07.024.050) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2016 წლის ნოემბერში. სამუშაოების უშუალო შემსრულებელი, ინჟინერ-გეოლოგი ალ. ჯასიკაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების თვისებების გამოკვლევები და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 12 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. მიწერილობა---------- 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 3 გვ.
5. კომპრესიისა და ჭრის გრაფიკები ---------- 24 გვ.
6. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე, დასკვნით--- 4 გვ.
7. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
8. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 5 ფურც.
9. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 8 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, სარდაფით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება სამირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 8 ჭაბურღილი, თითოეული 25.0 მ. სიგრძის. მათი საერთო სიგრძე შეადგენს 200 მეტრს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები გრუნტების

თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხნარი, მყარი კონსისტენციის, თაბაშირშემცველი;
3. ფენა 3 – კენჭნარი, ქვიშის შემავსებლით 30-40%;
4. ფენა 3 – ძირითადი ქანი, თხელშრეებრივი არგილითები, ქვიშაქვების იშვიათი შუაშრეებით, ძლიერ გამოფიტული;
5. ფენა 3 – ძირითადი ქანი, თხელშრეებრივი არგილითები, ქვიშაქვების იშვიათი შუაშრეებით, გამოფიტული.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. თიხური გრუნტების სიმკვრივისა და სიმტკიცის მაჩვენებლები დამუშავებულია სტატისტიკური მეთოდით. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 7.8-11.0 მ. სიღრმეზე (დამყარებული დონე 7.5-10.8 მეტრი). წყალი გრუნტულად წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციის შედეგს. როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, წყალი იჩენს სხვადასხვა ინტენსივობის აგრესიას სხვადასხვა ცემენტისგან დამზადებული ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, IV მ/რ, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ, მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე (ს/კ 01.17.07.024.050) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/